ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5314706

ნომერი: AR1805864

თარიღი : 25.02.2021

გაცემის თარიღი : 05.03.2021

გაცნობის თარიღი : 05.03.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გაზაფხული , N 4 ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის., ნაკვეთი 01/298, ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის.ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 77ი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით რამინიშვილი პ/ნ 01008013758
- თბილისი ს. ცინცაძის ქ. N 12 ბ. 8-28

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204513687
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით რამინიშვილი, ზურაბ კერვალიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008013758, 01017045648

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5220393

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 10.12.2020

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. გაიცეს: ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ქუჩა გაზაფხული, N4, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის, ნაკვეთი 01/298, შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი|-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.14.15.001.435) მრავალფუნქციური შენობის 10/12/2020წ. № 5220393 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 05 მარტიდან 2022 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
3. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
1) სამშენებლო მოედნის შემოღობვა, სადემონტაჟო სამუშაოები
2) სამშენებლო მოედნის მოწესრიგება, დროებითი შენობა-ნაგებობების განთავსება და დროებითი კომუნალური ქსელების მოწყობა
3) შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება
4) მიწის სამუშაოები
5. ფუძე-საძირკვლების მოწყობა
6. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები ±0.00 ნიშნულის დონეზე
7. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები ±0.00 ÷ +4.50 ნიშნულებს შორის
8. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +4.50 ÷ +12.30 ნიშნულებს შორის
9. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +12.30 ÷ +20.10 ნიშნულებს შორის
10. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +20.10 ÷ +26.70 ნიშნულებს შორის
11. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +26.70 ÷ +33.30 ნიშნულებს შორის
12. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +33.30 ÷ +39.90 ნიშნულებს შორის
13. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +39.90 ÷ +46.50 ნიშნულებს შორის
14. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +46.50 ÷ +53.10 ნიშნულებს შორის
15. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +53.100 ÷ +59.70 ნიშნულებს შორის
16. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +59.70 ÷ +66.30 ნიშნულებს შორის
17. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +66.30 ÷ +72.85 ნიშნულებს შორის
18. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +72.85 ÷ +79.50 ნიშნულებს შორის
19. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +79.50 ÷ +86.10 ნიშნულებს შორის
20. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +86.10 ÷ +89.40 ნიშნულებს შორის
21. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სამუშაოები +89.40 ÷ +94.70 ნიშნულებს შორის
22. სახურავის სამუშაოები
23. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა
24. ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ტექნიკური ქსელების მოწყობა
25. ტექნოლოგიური მოწყობილობის (ლიფტი) სამუშაოები
26. შენობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები
27. მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები
გაითვალისწინეთ: სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპის დასრულებამდე 10 დღით ადრე ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ.

4. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით.
5. ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მშენებლობის საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრესთან.
6. მშენებლობის წარმოებისას დაცული იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავები, ხის მოჭრის ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან.
7. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის MIA 2 20 02846285; 08/12/2020 წერილის შესაბამისად, დამკვეთის მიერ უზრუნველყოფილ იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობა და მათი დაპროექტების დოკუმენტაციის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში სამი თვის ვადაში წარდგენა, კერძოდ: სახანძრო სიგნალიზაციის, სახანძრო ლიფტების, სათადარიგო ელექტრომომარაგების, კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის და გათბობა-გაგრილების მოწყობის პროექტების.

• საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

• მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.

• საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.

• დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

- აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;
-აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;
-აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე; - აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;
-უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთმერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველისართული, სივრცე #4.